გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ჲ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

პარასკევს, 21 ფებერვალს

2-რე ტფილისის გიმნაზიის შეგირდების შემწე საზოგადოების ღონისძიების გაძლიერებისათვის კრუჟოკში გამართული იქნება:

საცეკვაო საღამო კონცერტით

დასაწყისი 9 საათზედ.

ქალსა თუ კაცისათვის ფასი 1 მან.

ბილეთების სყიდვა შეიძლება თვით საზოგადოების წევრთაგან და კრუჟოკის შვეიცარისაგან, სამოქალაქო წოდების პირთ შეუძლიანთ ფრაკებითა და შავის სერთუკებით იყვნენ და სამხედრო წოდებისანი-კი ეპოლეტებიანის სერთუკებით.

(3—2)

ტფილისი, 19 ფებერვალს

იტალიას ერთი იმისთანა სატკივარი აქვს გვამში, რომელიც სხვა ქვეყანას თავის დღეში არცა ჰქონია და, იმედია, არც ოდესმე ექმნება. ჯერ მინამ იტალია გაერთდებოდა და სატახტო ქალაქს დიდს და სახელოვანს რომში გაიკეთებდა, იტალიაში ერთი უცნაური წყობილება იყო. რომში იჯდა და დღესაცა ჰზის მთელის მსოფლიოს კათოლიკეთა ღვდელმთავარი, რომელიც ერთს დროს ისეთი ძლიერი იყო, რომ მეფენი და ხელმწიფენი მის წინაშე მუხლს იდრეკდნენ და როგორც მთხოვარენი ელოდნენ მის დერეფანში მოწყალებასა. იქამდინ მორჭმული ჲ ძალოვანი იყო იგი, რომ იტალიაში საერო ხელმწიფებაც ხელთ ეპყრა და სასულიერო მოძღვარი ამ რიგად ხორცის ბატონადაც შეიქმნა. მეტის წყურვილმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ რომის პაპი არამც თუ სააქაო ბედნიერებას ურიგებდა, რასაკვირველია, ჯეროვანის სასყიდლით, არამედ საიქიოსათვისაც იმისთანა სიგელს აძლევდა ადამიანს, რომ ამ სიგელის მქონებელისათვის სამოთხე ღია იყო. რეფორმაციამ, ერთის უბრალო ბერ-მონაზონისაგან ატეხილმა, ეს ადამიანის ცდომილებაზედ აშენებული ძლიერება და დიდება ძირით თხემამდე შეარყია; ახალმა დრომ, რეფორმაციისაგან ფრთა-ასხმულმა, კარგა აბრუ გაუტეხა რომის პაპსა და ბოლოს ხომ იქამდეა საქმე მისული, რომ რომის პაპი ბძანდება დღეს თავის კვირინალში თითქმის უმწედ და უნუგეშ. ერთი დღე არავის შეჰრჩენიაო, ნათქვამია. სწორედ ესე დაემართა რომის პაპსაც და ესეც დაემართება ყველას, ვინც ცდომაზედ დაამყარებს თავის დიდებასა.

რასაკვირველია, პაპი იტალიის ერთობისა და გაძლიერებისათვის იმით კი არ იყო საშიშარი, რომ სასულიერო ხელმწიფება ხელთ-ეპყრა, არამედ იმითი, რომ საერო ხელმწიფებაც ეჭირა იტალიაში და ამ რიგად სასულიერო წოდების საერო ბატონობა ჰქონდა იტალიაში სახელმწიფოს სახელმწიფოში. ეს ასეთი უბედურება იყო იტალიისა, რომ ან უნდა სისხლით და წამებით მოპოებული ერთიანობა დარღვეულიყო, გაქარწყლებულიყო, ან უნდა შეჰმუსრვილიყო საერო ხელმწიფება კათოლიკეთა ღვდელ-მთავრისა. ვიდრე ნაპოლეონი III ცოცხალი იყო, ვიდრე იგი ჰქელავდა საფრანგეთის საიმპერატორო ტახტსა და ყოველი მისი სიტყვა ციებ-ცხელებას დაჰმართებდა ხოლმე მთელს ევროპასა, პაპს ძალიან ესარჩლებოდა და იტალიას ხელს უცრიდა. ესარჩლებოდა იმიტომ კი არა, რომ რომის პაპის ერთგული სულიერი შვილი იყო, არამედ იმიტომ—რომ ამით თავი მოექონვა იმ დიდ დასისათვის საფრანგეთში, რომელსაც კლერიკალთა დასს ეძახიან და რომელიც საფრანგეთში, თითქმის დღესაც, მარტო რომის პაპის დარიგებისა და ბრძანებისა მებრ იქცევა. ნაპოლეონს ამ დასის მომხრეობა ძალიან ეჭირებოდა, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ მისი ტახტი ირყეოდა და ჰტოკავდა. ამიტომაც რამდენჯერაც იტალიამ გაიწვდინა ხელი თვის დედა-ქალაქ რომისაკენ, რამდენჯერაც დააპირა საერო ხელმწიფება პაპისა შეჰმუსროს, იმდენჯერ წამოექომაგა პაპს ნაპოლეონიცა.

გერმანიამ ნაპოლეონი ტახტიდამ გადმოაბძანა, ტყვედ დაიჭირა. მაშინ იტალიამ დრო იხელთა, რომი დაიჭირა უსისხლოდ და ყოველივე ნიშან-წყალი საერო ხელმწიფებისა გაუქრო რომის პაპსა. გერმანიამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბისმარკმა ამითი იყიდა იტალიის ნეიტრალიტებობა საფრანგეთთან ომის დროს. ეს რომ არა ყოფილიყო, იტალია როგორც ერთ-ტომი საფრანგეთისა, როგორც საფრანგეთისაგან ბევრში დავალებული და არა-მოსურნე გერმანიის გაძლიერებისა, უსათუოდ მიეშველებოდა საფრანგეთსა, ბისმარკს გაუძნელებდა საფრანგეთზედ გამარჯვებას და მაშასადამე გერმანიის გაერთების საქმესაც უსათუოდ გახდიდა.

მას აქეთია რომის პაპი რომში ბძანდება თავის სრა-სასახლეში, იტალიის მეფესთან უმძრახად არის და ჭირვეულობს: არც იტალიის გაერთებას აღვიარებო, არც მის მეფესაო, არც გაერთებულ სახელმწიფოდ ვიცნობო, ჩემს საერო ხელმწიფებასა არ დავთმობო და აქ რომში ვრჩები როგორც ტყვე, ჩემს სასახლეში დამწყვდეულიო. ეს მოგონილი და ტყუილი ტყვეობა და დამწყვდევა ძველს დროში, როცა ყველა კათოლიკე სასოებით უყურებდა რომის პაპსა და მის წყენას ღვთის გმობათ და მომაკვდინებელ ცოდვათა სთვლიდა, რა თქმა უნდა, დიდს არეულობას მოახდენდა კათოლიკეთა შორის და მთელი მსოფლიო კათოლიკობა დაიძროდა პაპის გამოსახსნელად, როგორც ერთს დროს მაცხოვარის საფლავის გამო მოხდა. ხოლო ეხლა ყურიც არავინ გაიბერტა და ეგ ტყუილი ტყვეობა ტყუილი ზარბაზანი გამოდგა იტალიისათვის.

მაგრამ მაინც კიდევ რომის პაპობა მოსარჩენი სატკივარია იტალიისათვის. ვისაც იტალიის წყენა, ვნება უნდა, მაშინვე რომის პაპის საქმის გაფუებას და გასიებას უქადის ხოლმე და ამ ხერხს ყველაზე კარგად ბისმარკი ჰხმარობს დღესა. ხან ხელში მოუკვდება ხოლმე რომის პაპსა და «ბალი-აღას» ეძახის, ხან შემოჰსწყრება და აურ-ზაურად ეკიდება იმის მიხედვით, — თუ იტალია როგორ იქცევა. იტალია, არ შეიძლება, ამისთანა ვითარებას საქმისას არ გაუფთხილდეს. ევროპაში ჯერ კიდევ ბევრი იმისთანა კათოლიკეა, რომელიც მარტო რომის პაპის სახელს ჰქლოცულობს და საკმაოა ერთმა იმისთანა კაცმა და სახელმწიფომ როგორიც დღეს ბისმარკი და გერმანიაა პაპს ხელი მიაწოდოს, მხარი მისცეს, რომ ყურ-მოჭრილი კათოლიკობა წამოექომაგოს ფულით და კაცით მითამ-და დაჩაგრულს პაპსა და იტალიის შინაური, თუ გარეული საქმეები საშიშრად აწეწოს.

* * *

ახალი ამბავი

⁂ 18 ფებერვალს პეტერბურგის ბირჟაზე ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის ათ თუმნიან გირავნობის ფურცლებში 94—75 მან. და ქუთაისისაში 94 მან. უძლევიათ, მაგრამ გამსყიდველნი არა ყოფილან.

⁂ დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვიდა შემოკლებული ისტორია საქართველოს ეკკლესიისა, შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ. დაბეჭდა წიგნისა უკისრნია «მწყემსის» რედაქტორს მღვდელს ღამბაშიძეს.

⁂ «წერა-კითხვის საზოგადოების» ბალს საზოგადოება ნაკლებად დასწრებია, მაგრამ მხიარულება კი არა ჰკლებიაო.

⁂ ორშაბათს დანიშნული კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი არ შესდგა, რადგან კანონით 24 ხმოსა-

---

ფელეტონი

ბ-ს იაკობ გოგებაშვილს პასუხად

ორი საგრამატიკო საგანი, წამოყენებული ჩვენ-მიერ «ივერიის» მკითხველების საყურადღებოდ, გახდა ღირსი იმისი, რომ მაზედ მხურვალედ დაიწყეს ბაასი კერძოდ და ბეჭდით. ეს ბაასი, ეს გაცხარებული სჯა, უეჭველია, უნაყოფოდ, უსარგებლოდ არ ჩაივლის, უეჭველია, რაიმე წესი გამოირკვევა, დადგინდება და ჩვენს წყვდიადით მოსილს გრამატიკას მცირედი ნათელი მაინც მოეფინება. კეთილი. ჩვენ მხოლოდ სიხარული-ღა გვმართებს ამ შემთხვევაში და, თუ გნებავთ, თავ-მოწონებაც, რადგან მიზეზი აღნიშნულის სასურველის შედეგისა ვიქნებით ჩვენ, «ახალი გრამატიკოსი», როგორც უადგილოდ დაჰცინება ჩვენზედ ბ-ნი გოგებაშვილი.

ბ-ნის გოგებაშვილის პასუხი ჩვენდამი სამის უმთავრესის ნაწილიდამ შესდგება. 1) უარ-ყოფა გრამმატიკისა საზოგადოდ და კერძოდ ჩვენის სკოლებისთვის, 2) მოსაზრებანი ჩვენმიერ აღძრულს საგრამატიკო საგნებზედ და 3) კუდიანი სიტყვები და ერთობ იაფი ფასის და უადგილო ოხუნჯობა, ყოველს მარილს მოკლებული, მაგალითებრ, უკბილო სიოხუნჯე ვილაც ღატაკ ქართველზედ და მდიდარ ამერიკელ ქალზედ.

ჩვენ ორს პირველზედ გავცემთ პასუხს და მესამეს კი თვითონ ბ-ნი გოგებაშვილი ჩაუფიქრდეს, რამოდენად უხდება დარბაისლურს ბაას ეგ უკბილო ოხუნჯობა.

გრამატიკის უარ-ყოფაზედ როგორც საზოგადოდ ჩვენს სკოლებში, ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ეს საგანი იქამდის ცხადია, იქამდის საერთო და საქვეყნოა, რომ მაზედ ბაასი ჩვენს ლიტერატურაში სასაცილო იქნება. მარტო ის გარემოება, რომ გრამატიკა სასარგებლოდ, საჭიროდ ცნობილია მთელს დედა-მიწის ზურგზედ, მთელს განათლებულს ევროპაში, ჰსპობს ყოველ-გვარს ცილობას ჩვენ შორის. ჩვენ სირცხვილის მეტი აღარა დაგვრჩენია-რა, უკეთუ ჩვენ-მიერ პედაგოგად აღიარებული კაცი დღეს საჯაროდ და ხელ-აღებით გაიძახის: გრამატიკა რა საჭიროაო. არავის არ მოჰსვლია ჰაზრად აეხირებინა, რომ ცხოველი წყარო ენის შესწავლაში ლიტერატურა არ იყოს; მაგრამ ცხადზედ უცხადესია, რომ გრამიტიკა ერთი ათად და ერთი ასად ამოკლებს, აადვილებს ენის შესწავლას. რა გვარად უნდა იყოს შედგენილი გრამატიკა და რა წესით უნდა ისწავლებოდეს იგი—ეს სულ სხვა საგანია და აი კიდეც ამაზედ შეიძლება სჯა. ვირხოვმა გადისროლა გრამატიკა და ენები ისე შეისწავლაო. მერე? იქნება ვირხოვს როგორი ლინგვისტიური ნიჭი ჰქონდა, იქნება ის რა გარემოებაში ტრიალებდა—ვინ იცის. ნუ თუ ეს კერძო ფაქტი თქვენ გაძლევთ საბუთს უარ-ჰყოთ აზრი მთელის ევროპისა გრამატიკის შესახებ. აბა ახლა მიჰხედეთ, კომენსკი, ბენი, უშინსკი რას ამბობენ. დასასრულ, ვინ არ იცის, რომ ბ-ნი გოგებაშვილი თვითონაც ადგენს გრამმატიკას და არა გუშინდლიდამ, არამედ ეს ათი წელიწადია გრამატიკას დაჰკუტკუტებს. ეს რაღასა ნიშნავს? ალბად გრამატაკა მხოლოდ მაშინ შეიქნება საჭირო ქვეყნისთვის, როცა თვით გამოსცემს.

⁂

საკამათო საგნად ჩვენ შორის გადაქცეულა სამი ფორმა: კაცი-თ, კაც-ად და კაცი-სას. მოველაპარაკოთ თვითეულზედ ცალკ-ცალკე.

კაცი-თ. ჩვენ პატივ-ცემულს დიმიტრი ყიფიანთან ერთად ეს ფორმა მიგვაჩნია სახელობითი ბრუნვად, დამატებით შემოკლებულის თანდებულისა «თურ», ან ნათესაობითად (კაცისა-თანა), შემოკლებულის თანდებულის «თანა»-თი. ესევე იყო ნათქვამი ჩვენს «ორ საგრამატიკო საგანშია». ბ-ნს გოგებაშვილს არ მოსწონებია თანდებული «თანა» და ჩასციებია მარტო ერთს «თურთ»-ს და ლამის სულ ტყავი გააძროს ამ საწყალსა. ნეტა რად მოაშორა «თანა» თავის ტოლ-ამხანაგს ბ-ნმა გოგებაშვილმა? განა რომ ჩაუშლიდა ყოველს მოსაზრებას! ეს პაწია სიტყვის ნაწილი რომ არ დაჰვიწყებოდა, განძრახ, რასაკვირველია, მაშინ ბევრს უადგილო ოხუნჯობას ბ-ს გოგებაშვილისას საფანელი მოაკლდებოდა. აბა თვალი ადევნეთ, ამ პატარა თანდებულმა როგორ გააბათილამოს ყოველნი მოსაზრებანი ბ-ნის გოგებაშვილისა.

მეხუთე საუკუნიდამ დაწყებულიო, ამბობს ბ-ნი გოგებაშვილი, მთელი ქართველობა სთვლიდა მარცვალს «ით» მოქმედებითს ბრუნვის დაბოლოვებათაო. მარტო ამ მედიდურმა «მეხუთე საუკუნიდამ» ისეთი თავ-ზარი დასცა ზოგიერთს მკითხველებს, რომ აღარც აიღეს, აღარც დაიღეს და გადასჭრეს: ბ-ნი გოგებაშვილი სრულს ჭეშმარიტებას ჰლალადებსო. მაგრამ დააკვირდით კარგად და დაი-

ნი უნდა დასწრებულიყო და გამოცხადდა კი მხოლოდ 14-იო.

⁂ თვალთ-მაქცის კაზენიევის უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართება დღეს, 20 ფებერვალს ტფილისის კლუბში. შემოსავალის ერთი ნაწილი საქველ-მოქმედოდ იქნება გადადებულიო.

⁂ დაბა ზესტაფონი დღეს არა ხვალ ქალაქად გარდიქცევაო, გვწერენ იმერეთიდამ. შავი ქვის მადნებმა იმდენი ხალხი მოაგროვა ამ მხარეში, რომ გამუდმებული იარმუკობა გგონია აქაურობაო: ზოგი სწონს შავს ქვას, ზოგი ილაგებს ჩაბარებულს საქონელს, ზოგი მადნებიდამ მოდის, ზოგი მიდის და არის ამ გვარად ერთი ამბავი და ვაი-ვაგლახიო. უფრო მეტად ფაცი-ფუცობენ თურმე თვით მადნებში, საცა მუშაობაო. ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ ამ სასიამოვნო გარემოებას, უსიამოვნობაც ზედ ერთვისო. საქმე ის არის, რომ მიწას რომ სთხრიან, ხან-და-ხან ძალიან შორს ჩადიან, ისე რომ, საშიშია მიწა არ ჩამოინგრეს და მუშები ამ მღვიმესა და მღაროებში არ მოჰყვნენო. ამას წინად ერთს მღვიმეში მიწა მომიზღვლა და ერთი მუშა შიგ ჩავარდაო, ჩაჰკიდეს თოკი, უნდა ამოეყვანათ, მაგრამ ამ მიხვეულის ხალხის სიმძიმით, კიდევ პირი ქნა, უფრო დიდად გაიპო და თან ჩაიტანა მუშაო. ერთი აგვარი შემთხვევა კიდევ ამას წინედ მომხდარა. საჭიროა, ფრიად საჭიროა, ათავებს თავის წერილს მოამბე, რომ ცალკე ტეხნიკი იყოს აქ და თვალყური ადევნოს ამ მღვიმეებსა და მაღაროებს და თუ საშიშია, აუკრძალოს ხოლმე მუშაობაო.

მოვესწარით იმასაც, რასაც ასე უჩივიან ევროპაში მუშები სხვა-და-სხვა მადნებისანი. იქ, ქვა-ნახშირის, რკინის, მარილის და სხვა-და-სხვა გვარს მადნებში ისე ხშირია ხოლმე, მღვიმეების ჩამონგრევა და სხვა უბედურება და იმდენს მუშებს იმსხვერპლებს ხოლმე, რომ ჩვენი აღზევნის ლეგენდა იმასთან შედარებით შაქარი და შარბათია მხოლოდ.

⁂ ქუთაისის მაზრაში რაღაც საქონლის და ცხენების სატკივარი გაჩენილა. ტფილისში შემდგარა ცალკე კომისია მცოდნე პირთაგან დ-რის რემერტის თავს-მჯდომარეობით ამ სატკივარის გამოსაკვლევად (გაზ. «Нов. Обоз.»).

⁂ საერო განათლების მინისტრს ნება დაურთავს, რომ ტფილისის მუსიკალურ საზოგადოებამ თავისი სამუსიკო კლასები სამუსიკო სკოლად გადააკეთოს.. (გაზ. «Кавказъ»).

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა და გამოვიდა მეხუთე წიგნი «კრებულისა კავკასიის სხვა-და-სხვა ტომისა და მხარის აწერისათვის». ეს კრებული, როგორც მკითხველს ეცოდინება, იბეჭდება კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველის კანცელარიისგან და ფრიად საინტერესოა ხოლმე. ფასი 2 მანათია. (გაზ. «Кавказъ»)

⁂ ბათუმში, როგორც სწერენ ერთს ტფილისურს გაზეთს, ძალიან გაჩაღებულია ვაჭრობაო. ამას წინად აქედამ მხოლოდ ნავთსა და ვაშლს ეზიდებოდენო და ახლა ამას გარდა გააქვთ კიდევ შავი ქვა, კაკალი, ბზა, სიმინდი, ხორბალი პურისა, სელის თესლი, აბრეშუმის პარკები და სხვ. აქაურის ვაჭრების აზრით, პურის ხორბალი და სელის თესლი უფრო ბევრი გაიყიდება და წავა ბათუმიდამაო. ბათუმში ამ ჟამად იმდენი გემები და ხომალდები მოდიან, რომ ნავთ-სადგურში ველარ ეტევიანო და იძულებულნი არიან უადგილო-ადგილას დადგნენ ხოლმეო. ეს არის მიზეზი რომ ამას წინად აქ ორი დიდი ნავი დაილუპაო დიდის ქარებისა და ზღვის ღელვის დროსაო. ერთი იტალიელებისა «*Itolico*» და მეორე საფრანგეთისა «*Enzio*»-ო.

ნაკვესი

ბერი მაწუტამე სადილად ერთს ოჯახში დასწრო. ოთხშაბათი იყო. სხვებს ხორცი მოართვეს და ბერმა კი ლობიო მოატანინა. ერთმა ღარიბმა თავადმა ლობიოს დანახვაზედ შესძახა:

— ბერო, ეგ რა არისო.

— ეგ ისა არის, რასაც სხვის სახლში მარხვაშიაც არ ჰკადრულობ და შენსაში—ხსნილშიაც კი ჰნატრულობო, მიუგო ბერმა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბოლგარ-რუმელიელთა არეულობა ადიდებულ წყალივით ნაპირებიდამ გადმოდის, ფართოდ განზე იშლება, თან-და-თან მეტს ადგილს ჰფარავს და აი ბოლოს თითქმის მთელი ბალკანის ნახევარ-კუნძული ჩაითრიოს თავის ტალღებში. აი გაზეთი «Новости» რა სურათს გვიხატავს:

იმ დროს, როდესაც დიპლომატია ყოველს ღონის ძიებას ხმარობს, რომ ბალკანის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობა ჩამოაგდოს, ის სახელმწიფოები კი, რომელთაც «აღმოსავლეთის საქმის» დაბოლოვება უფრო უნდა მეტად აფიქრებდეს, დიდს მზადებაში არიან საომრად. თვითონ ავსტრიაც კი თავისას არ იშლის.—ათონიდამ გვაუწყებენო, რომ საბერძნეთს თითქმის ქუდზე კაცი ჯარად გამოჰყავსო.—ოსმალეთი თავის დღეში არ მომზადებულა საომრად ისეთის დიდის ძალით, როგორც ეხლა ემზადებაო. ოსმალეთი ეხლა უფრო მეტს ჯარს ამზადებს, ვიდრე ამ ათის წლის წინად, როდესაც ასეთი მძლავრი მოწინაალმდეგე ჰყავნდა, როგორც რუსეთია.—ბოლგარიის მთავარი თავის სატახტო ქალაქში მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როდესაც სამხრეთ ბოლგარიაში ჯარები სრულიად შეიარაღა და მილიცია საომრად მოამზადა.—სერბიაში განუწყვეტელი მოძრაობაა რკინის გზებისა და ჯარები აქეთ-იქით გადაჰყავ-გადმოჰყავთ; მეტადრე დიდი ჯარია შეგროვილი ქალაქ ვრანასთან, სამზღვარს ახლო, სადაც სერბიას, შიში აქვს რომ ოსმალეთი დიდის ძალით მოაწყდებაო.—რუმინია თავის სატახტო ქალაქს დიდის სისწრაფით ამაგრებს და და დობრუჯაში ჯარს აძლიერებს.—ჩერნოგორიელები ხომ ყოველს წამს საომრად მზად არიანო.—ავსტრიას თავისი წარჩინებული სამხედრო კაცი, ერც-ჰერცოგი იოჰანე, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში გაუგზავნია და იქ საჭირო ჯარის შეკრებას ცდილობსო.

ჭექა-ქუხილს წვიმა მოჰყვება თუ არა, გაზაფხული გვიჩვენებს, რადგანაც ზამთარში ამის დაწყობა ყველას ემძიმება. ამაში კი ეჭვი არ არის. ბალკანის წვრილს სახელმწიფოებს ეს კარგად ესმისთ და აი ამიტომაც ასე გაცხარებულად თოფ-იარაღს ხელსა ჰკიდებენ. საქმე იმაშია, რომ ოსმალეთს დიდი სამკვიდრო ჰრჩება და რასაკვირველია, ამ სამკვიდროდამ უფრო დიდი ლუკმა იმას ერგება, ვისაც მეტი ძალა ექნება.

⁂

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში მოყვანილი იყო სიტყვა-სიტყვით ყარაგეორგიევიჩის პროკლამაცია სერბიელების მიმართ. რუსეთის გაზეთები ჩვეულებრივ ამ პროკლამაციამაც აალაპარაკა და აი სხვათა შორის გაზეთი «Свѣтъ»-ი რას ამბობს.

ყველასთვის ცხადიაო, რომ ამ პროკლამაციის შემდგენს იმდენად სერბია არა ჰყოლია სახეში, რამდენადაც ავსტრია, რომელიც განგებ აქეზებდა სერბიას,—ბოლგარიასთან ომისათვის, და ამითი რუსეთისთვის უნდოდა ევნოო. ამ პროკლამაციის გამო მთელი ბელგრადი ეხლა საშინელს ალიაქოთშიაო. სერბიის სატახტო ქალაქში იდუმალი საზოგადოება აღმოუჩენიათ, რომელსაც შეთქმულობა ჰქონია და დიდს მზადებაშიაც ყოფილა, რომ სერბიის ტახტიდამ მილანი ჩამოეგდოთ და ამის ადგილას თავადი ყარაგეორგიევიჩი დაესვათ.

ამბობენ, ვითომ რუსეთი და ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოოზი ამ საქმეს ხელს უწყობენო.

თუ რუსეთს ამითი მართლა სერბიის კოროლის შეშინება უნდაო და საქმით კი არა საქმობსო, განაგრძობს გაზეთი, ცხადია, რომ სერბიის კოროლიც და ამის ხელქვეითნიც ეცდებიან სერბიაში მტრობა აღძრან რუსეთის წინააღმდეგაო. ამის შედეგი მხოლოდ ის იქნებაო, რომ მთელი სერბიის ერი სრულიად გადუდგება რუსეთსაო.

საკვირველია, რატომ გაზეთი არ ამბობს, რა საშუალებით შეუძლიან რუსეთს სერბიის ერის გული ისევ მოიპოვოს? სერპია პირველ ხანებში, როდესაც ოსმალეთის ხელიდამ თავი დაიხსნა, რუსეთის განვლენის ქვეშ იყო და მერე კი რუსეთზე უცბად გული სრულიად აიცრუა. რა იყო ამის მიზეზი? ამაზედ გაზეთი არას ამბობს, იქნება იმიტომაც, რომ ეს ყველამ იცის...

დამაკვირდი!

ოდეს კაცი კეთილსა იქმს, არა სასმარის არს, რათა ჰყვიროდეს დაფითა და საყვირითა. (მარკაავრელი)

⁂

ყრმა სირცხვილმა გააშვენოს,
ათრთოლდეს და დაუმდაროს,
სხვა სიკეთე უმჯობესი
ამას რაღა შეედაროს!
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

ზოგჯერ უგულმა [illegible] წალმა
ბედი ტრიალებს,—
ორთავეს კაცი უნდა დაჰხვდეს გულ-მაგრად ხოლმე.
(შექსპირი)

⁂

წელ-მოწყვეტილსა დიაცსა
ნუ დაელევა ჭირია,
თმის გამტეხსა კაკაცსა
მიწით გაევსოს პირია.
(გლეხთაგან თქმული)

სახელდახელო

(ყბათ-ასალები—წყალ-წასაღები ამბები)

გაართე შენი მკითხველი, გულიდგან დარდი და ნაღველი გადუყარე და პირზედ სასიამოვნო ღიმილი მოჰგვარეო, აი რას ამბობს ამ წერილის სათაური «სახელ-და-ხელო». და შენც—მოხელ-და ხელე შენს შორსმჭვრეტელ თვალს აავლ-ჩაავლებ მთელ დუნიას და მეთვალ-ყურეობ, სად რა მოხდეს შენი საკბილო, ვინ აგიშალოს ოხუჯობის სალერღელი, რომ ჩაავლო ყრონჭში ხელი და მისი მოქმედება, მისი სასაცილო საქციელი შენს ათი-ათასს მკითხველს განუზიარო და ერთის სასაცილო ამბავის მოთხრობით ათი-ათას ღიმილი მოჰგვარო.

კარგი ხელობაა და არც ვემდური მე, ზემორეს დამწერი და ქვემორეს ხელის მომწერი. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ გამოლეულა ქვეყანაზედ უჭკუო ბრძნები და თუ მოიწადინებ ბევრს ფუღურო გოგრას მოიმწყვდევ შენს გასართობში.

გაიძახიან, ყველანი ძმები ვართო, ერთი-ერთმანეთს ჭირშიაცა და ლხინშიაც ხელი უნდა გავუმართოთ და გზადა და ხიდად გავედვენოთო. ტყუილია! დიდი სულელი ბრძანებულა ვისაც ეს უთქვამს! ყველანი ძმები რად ვიქნებით: მამაშენი იაკინთეა და მამიჩემისათვის-კი მის მირონ-მცხებელს ოჩოპინტრეს სახელის დარქმევა უნებებია. ან კიდევ, ვთქვათ, მე მდიდარი და შეძლებული ვარ და შენ კი ულუკმა-პურო, შიმშილით სული გხდება, მე რა? მე რად უნდა ავიტკივო შენთვის აუტკივარი თავი, წინ წყალი და უკან მეწყერი. მე რად უნდა გიშველო? რაო ჩემო?...

ნახავთ, რა განზრახვითაც არის ეს ფრაზა ხმარებული. ნუ თუ ბ-ნს გრამატიკოსს წაუკითხავს, გადუჩხრეკია ყველა ნაწერები, ან ზოგიერთები მაინც მეხუთე საუკუნიდამ დაწყობილი? იქნება წინადაც ისე ხმარობდნენ, როგორც თითონა ჰსურს, რა იცის მერე?

დასამტკიცებლად მისა, რომ როგორც ეს ფრაზა, ისე მთლად მოსაზრება ბ-ნის გოგებაშვილისა შესახებ მოქმედებითის ბრუნვისა არის უჯერო და ჰკვად არ-მისაღები, მოვიყვანოთ და გავარჩიოთ რამდენიმე მაგალითი იმავე იოანეს სახარებიდამ, რომელზედაც ამყარებს უმთავრესად თავის აზრს ჩვენი მოკამათე.

თავი 18

ქართული ტექსტი	რუსული ტექსტი
1. ესე ჰსთქვა იესო და გამოვიდა მოწაფითურთ თჳსით წიაღ ხევსა მას ნაძოვანსა...	1. Сказавъ сіе Іисусъ вышелъ *съ ученикама* своими за потокъ Кедрнъ...

ალვიჭურვნეთ სალის გონებით, მიუდგომელობით, გავიხსენოთ მათემატიკიდამ კანონი სასწორისა და შევადაროთ ხაზ-გასმული სიტყვები. ქართული სიტყვა მოწაფითურთ შესდგება ორის ნაწილისაგან: მოწაფი (ანუ მოწაფე, ე გადაკეთდა ი-თ კეთილ-ხმოვანებისთვის), ზედ-დართვით თანდებულისა «თურთ». ეს თანდებული უდრის რუსულს съ-ს. რუსულს მოქმედებითის ბრუნვის ფლექსიას *ами* რაღას მიუწონთ ქართულში? ჩვენის აზრით, არაფერს. მაგრამ პლ. იოსელიანი ამბობს და იმის აზრს, ვითომ თავისად, იმეორებს ბ-ნი გოგებაშვილიც, რომ ამ სიტყვაში ერთი «თ», რომელიც შეეწონვის ами-სა, ამოვარდა კეთილ-ხმოვანებისათვისაო. იმათის აზრით უნდა იყოს ასე: მოწაფი + თ + თურთ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენი მოკამათენი გამართლდებიან. მართლაც და მოწაფი=ученик, თურთ=съ და «თ»=ами. აქ ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ არავითარი «თ» არ არის აქ ამოვარდნილი და აი საბუთიც იმავე სახარებიდამ.

3. ხოლო იუდა წაწარიყვანა ერი, და მღვდელთ-მთავართა და ფარისეველთაგან მსახურნი, და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა.	3. Игакъ Іуда, взявъ отрядъ воиновъ, и служителей отъ первосвященниковъ, и фарисеевъ приходитъ туда *съ фонарями* и *свѣтильниками* и *оружіемъ*.

ქართული სიტყვა სანთლები + თ (ანუ თა, სულ ერთია) = съ + фонар + ами. სანთლები = фонар; თ = съ; ями-ს რაღა შევუბადლოთ? არაფერი. ეგ იმიტომ, რომ ქართულს ენაში მოქმედებითი ბრუნვა არ არის. სულ სხვა ხასიათი აქვს ნამდვილს ბრუნვას. მაგალითებრ: მე მივდივარ ძმასთან. къ брату. ძმა + ს + თან: ძმა = брат, თან = къ, ს = у.

რომ ბ-ნმა გოგებაშვილმა თავისი აზრი გაამართლოს, ახლა მოუნდება თქმა, რომ სანთლებითა აქაც ერთი «თ» უკლიაო: სანთლებითთა! ეს რაღა გამოვა? საგანი ამით არ აიხსნება, რასაკვირველია. ჩვენ გვაქვს კიდევ წინ ასახსნელი ბ-ის გოგებაშვილის ფრაზა: «მე მოვედი რკინის გზით დედითურთ». საქმე აი რაში მდგომარეობს. სადაც კი რუსულში съ-ს შეხვდებით, იქ ჩვენი «თურთ» ანუ მისი შემოკლება «თ» ზედ გამოკრილია. კაცით—კაცითურთ, ძმით—ძმითურთ, მამით—მამითურთ, დედით—დედითურთ და სხვა. ერთის სიტყვით «თ» არის ბოლოში — «თურთ»-ად ადვილად გადაიქცევა და «თურთ»-ი «თ»-დ. ეს ცხადია. არის ეხლა რუსულში კიდევ წმინდა ბრუნვებრივი დაბოლოვება: **ами, ями, омъ** და სხვ. აი ამ დაბოლოვების შესაწონარი ჩვენში ვერა გვიპოვია-რა და საქმესაც ეს აბუნდებს. რკინის გზით, აქ «თ», «თურთ»-ად ვერ გადაკეთდება და აი საბუთთა-საბუთიც ბ-ნის გოგებაშვილისა, რომ აქ «თ» არის მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოვებაო. ნუ დავუჯერებთ ბ-ნს გრამატიკოსს და მივმართოთ ისევ ძველ წყაროებს, ვნახოთ, რა ფორმა და როგორ უხმარიათ ჩვენ წინა-პართ იქ, სადაც რუსი იხმარებდა წმინდა მოქმედებითს ბრუნვას: **отцемъ**, მაგალითებრ, უთანდებულოდ **съ**. მივმართოდ იმავე სახარებას.

სახარება იოანესი თავი 6.

57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან და მეცა ცხოველ ვარ მამისათანა; და რომელი ჰსჭამდეს ჩემგან, იგიცა ჰსცხოვნდეს ჩემ მიერ	57. Какъ послалъ Меня живый Отецъ, и Я живу **Отцемъ**; такъ и ядущій меня жигь будетъ *мною*

დიალ, ბ-მა გოგებაშვილმა უგანზრახველოდ კი არ დაივიწყა თანდებული «თანა». მხოლოდ ბუნებითვე ბრმად დაბადებული თუ ვერ გაიგებს აქ რა კანონი მუშაობს, თორემ სხვისთვის ყველასთვის უნდა ცხადი იყოს. რუსული ბუნებრივი Отц-емъ ქართულმა ენამ გამოხატა ნათესაობითის ბრუნვით მამისა + თანა. იგივე მოქმედებითი ბრუნვა **мною** მეორე შემთხვევაში კიდევ გამოიხატა ასე: ჩემ +

«ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის
სიცოცხლისა არ დმრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად».

ეხლანდებურის თვალით რომ ჩაჰხედო აქ გამოხატულს ტბას სიყვარულისას, ნუ თუ არ გაგეცინებათ ჩუმად მაინც და გულში არ ჩაიხარხარებთ, ჩვენი წინაპარნი რა ტუტუცები ყოფილანო, რომ ეს უთქვამთო.

ავიღოთ, თუ გინდათ გუშინდელი ვაჟ-ბატონი, რომელიც ძალიან გამწყრალა და ჰქა-ქუხილით იწერება: «ექიმთან ვიყავი და ექიმი არ წამომყვა, ცუდი დარებია, ორის დღის უკან მოდით, შემატყობინეთ, როგორ არის ავად-მყოფი და მაშინ იქნება წამოვიდეო. ვსთქვათ მოვალე არ იყო უეჭველად წამომყოლიყო, მაგრამ კაცთ-მოყვარეობა განა მოვალეობაზედ ნაკლებ უნდა მიიჩნდეს კაცსაო».

ადამიანო, რომელის საუკუნის კაცი ხარ, რომ ეხლა მაგაებს ლაპარაკობ? კაცთ-მოყვარეობაო, გულმტკივნეულობაო, მოყვასის სიყვარულიო, მოძმისათვის თავის დადებაო—ვისა სცალიან ეხლა მაგ ლამაზ-ლამაზ სიტყვისათვის? მაგ სიტყვებმა თავისი დრო მოჭამეს და წავიდნენ. ეხლა მაგ სიტყვებს მოლექსეები თუ ხმარობენ, ისიც რიფმის მოსაწყობად, თორემ სხვაფრივ ვილა კადრულობს. დღეს ის დღეა, რომ კაცი კაცს მარტო ამას ეუბნება: მე თუ შენ, შენ თუ მე და ორივენი ერთად კი არაო. რას ამბობთ? დღეს ერთი მეორეს აწი-აწიოს აბლავლებს და ის კი გამოსულა და იძახის,—კაცთ-მოყვარეობაო. აბა ჭკვიანი და დალაგებული კაცი დღეს კაცთ-მოყვარებას აჰყვება! ერთი არ იკითხავთ? მაშინ ხომ კარგი იქნებოდა, რომ ექიმი გაჰყოლოდა. ახარ გზაში რომ გაციებულიყო და თითონაც ფეხები გაეჭიმნა!..

აყვედრის, კაცთ-მოყვარე არ არისო. კაცთ-მოყვარე რომ არ ყოფილიყო, გაჰყვებოდა და თავს გაიცივებდა. ალბად მოყვარე ყოფილა, რომ თავს გაჰფრთხილებია და არ გაჰყოლია. ნუ თუ თითონ ექიმი კი კაცად ჩასათვლელი არ არის! ბარაქალა დროვ, აფერუმ ამ დროს!.. ძლივს ქვეყანა არ მოაჰკვიანა და დიდ-სულოვანი კაცთ-მოყვარება დიდგულა თავ-მოყვარებად არ გარდაჰქმნა!

⁂

ამ დროს, როდესაც ასეთი გაცხარებული ბაასია «ორს საგრამმატიკო საგანზედ», როცა ქართულის ენის გასამშვენიერებლად ერთი იძახის «ებური» ჰსჯობია და მეორე «სოციალ, დემოკრატიალ და სხვა რაღაც «ტიალს» ამჯობინებს, როცა ბ-ნი კავთელი საქართველოს გასანათლებლად ისე ბნელად სწერს, რომ თავი და ბოლო თითონაც ვერ გაუგია, როცა ბ-ნი მირიანაშვილი პარიჟიდამ ქართველობას ურჩევს თუ გინდათ სიმღერას შეეჩვიოთ «სერენკი კოზლიკი» იმღერეთო, ერთის სიტყვით, იმ დროს, როდესაც ასეთი ჯახა-ჯუხია ქართველების განათლებისათვის, ერთს მშვენიერ ქალაქში ჰკვა-დოვლათიანს ქართველ პედაგოგს უფრო უკეთესი საშუალება აღმოუჩენია განათლების გასავრცელებლად. მაგრამ სიკეთისთვის სიკეთე ვის გადაუხდია. მის მაგივრად, რომ ყველამ მოწიწებით ქუდები მოუხადონ, ეთაყვანონ და ვაშა-ვაშა შეჰკივლონ მეცხრამეტე საუკუნის განათლებულს პედაგოგს, აი რა სიცილით იხსენიებს იქაური კორრესპონდენტი:

«ამით ვაუწყებ ტფილისში მყოფ არხეოლოგიის, ან ძველ ნაშთთა მოყვარე საზოგადოებას რომ ჩვენს ქალაქში აღმოჩნდა ერთი ღირს-შესანიშნავი ცოცხალი განძი, ანუ ნაშთი ძველის დიდებისა. ეს ცოცხალი ნაშთი გახლავთ ერთი ახალგაზდა პედაგოგი, რომელიც ეკუთვნის იმ დროს, როდესაც განათლება და ცემა-ტყეპა-ჭიტლაყ-მუჯლუგუნი ბიძა-შვილები იყვნენ და ხელი-ხელს გადახვეულნი დასეირნობდნენ... ეს პედაგოგი ძალიან ეწყობა ცემას და ძალიან ხშირადა სცდის თავის მკლავისა და მუხლების სიკეთეს საბრალო ბავშვებზედაო... ეს ცოცხალი ნაშთი თუმცა ჩვენთვისაც ძვირფასია, მაგრამ რადგანაც დაკარგვისა გვეშინიან, ამისათვის უმორჩილესადა გთხოვთ, ძველ ნაშთთა მოყვარენო, წაიყვანოთ და სხვა ძველ ნაშთთა შორის შეინახოთო».

რას ჰლაპარაკობს ეს ჩვენი კორრესპონდენტი? საოცარი კორრესპონდენტები არიან, ღმერთმანი, ეხლანდელ დროში. კაცო და ადამიანო! ჯერ გამოიძიე საქმე და მერე ისე გაამტყუნე. იქნება იმ ადგილას, სადაც შენგან ყბად-აღებული პედაგოგია, გიმნასტიკისათვის არაფერი მომართულობა არ არის. თუ ეგრეა, მაშ რა ჰქნას უბედურმა პედაგოგმა? მაშ ტანის, აგებულობის, მკლავისა და მუხლის ვარჯიშობა არ უნდა. ხომ დამბლად დაეცემა! არა, ჩემო კარგო პედაგოგო, ოღონდ შენ კარგად იყავ და ნუ დაიშლი ცემა-ტყეპა-მუშტ-სილა-მუჯლუგუნის ვარჯიშობას. ბავშვები პატარეები არიან, გაიზრდებიან და გადაავიწყდებათ. კორრესპონდენტმა

რაც უნდა, ის სთქვასო,
წისქვილმა-კი ფქვასო...

⁂

თუ ვისმეს თავისთვის სიკეთე უნდა და არ უნდა რომ დღეს პეტრეთ წოდებული, ხვალ პავლეთ გარდაიქცეს, ზეგ იოსებათ და მაზეგ კიდევ ტერენტეთ, ეხლავე გაუფრთხილდეს, შუბლზედ დიდრონის ასოებით ამოიჭრას თავისი სახელი, გვარი და წლოვანება, თორემ ქვეყნის ღერძს რაღაცა ვაი-უშველებელი დამართნია და უკან აპირებს გადმოტრიალებას.

აი მაგალითი, თუ არ დაიჯერებთ: ზოგიერთ ჩვენებურ მოძღვრებს სტატისტიკურის კომიტეტისაგან ქაღალდი მისვლიათ, რომლითაც სხვა-და-სხვა ცნობების შეტყობინებასა სთხოვენ. ამ ქაღალდში შემდეგი საპასუხო საგნები ყოფილა: 1, სახელი სოფლის საზოგადოებისა. 2, რამდენი სულია ერთს სამრევლოში? 3, მცხოვრებნი რომლის სარწმუნოებისანი არიან? 4, რომელს ერსა და ტომს (**нація**) ეკუთვნიან?

პირველს სამ საკითხავზე როგორც რიგია, ისე მიუციათ პასუხი, მაგრამ მეოთხე პასუხს რომ შესდგომიან, ქვეყნის გაუსაპნეველს ღერძს ღრიტინი მოუღია და სულ დაჰკარგვიათ დავთრები: თურმე სხედან სამნი ერთად და ერთმანეთს გაოცებულნი ეკამათებიან: ერთი ამბობს თურმე: «რაჭველები რაჭველების ტომისანი არიანო», მეორე აჰხირებია: «არაო», «კავკასიის ტომს ეკუთვნიანო», მესამეს-კი ძლივ-ძლივობით გაუბედნია თქმა: «ჩემის აზრით, რაჭველები ქართველის ერისანი უნდა იყვნენო». აბა ამას გამოუცვნია აი, თუ არ დაგიშლიათ! იქნება დღესაც ამ ვაივაგლახში არიან, ვინ იცის? ძმა ძმისთვისა და შავ-დღისთვისაო. ახლა არავინ მიეშველებით სალოდავებს?!

ტფილისში წყლის გაყვანის საქმე.

ჩვენმა თულუხჩებმა რომ გაიგონ, რა ამბავი იყო გუშინ საღამოს, 18 ფებერვალს ტეხნიკურის საზოგადოების კრებაზე ქალაქში წყლის გაყვანის მილების გამო, თავებს დაიხოცავდნენ და უთუოდ პირობას შეჰკრავდნენ, რომ აღარავისთვის აღარ მიეტანათ წყალი ამ საზოგადოებისაგან ასე დაწუნებულის თულუხებით. ხუმრობა საქმეა? წყლის გაყვანა ტფილისში, ულუკმა-პუროდ დასტოვებს რამდენსამე ასსა და ათას წყლის მზიდავს თულუხჩის და მუშას, რომელნიც ათადამ-ბაბადამ წყალს უზიდავენ ტფილისის ასი-ათას მცხოვრებლსა. ტფილისი წყურვილით მოკვდებოდა, რომ ამ მუშებს ერთს მშვენიერს დღეს პირობა შეეკრათ და წყალი აღარავისთვის მიეტანათ. 104 ათასი ვედრა უნდება ტფილისს დღეში, როგორც ქალაქის თავმა ბ-ნმა მატინოვმა სთქვა და აბა მოაკელით ქალაქს ეს ამოდენა სასმელი, რა ცოდვის ღული დატრიალდებოდა. მაგრამ ჟამთა-ვითარება შეუბრალებელი ყოფილა. განათლება საერთო სარგებლობისათვის არავის არა ჰზოგავს და თუ ასსა და ათასს ულუკმა-პუროდ სტოვებს, სამაგიეროდ ათასსა და ათი-ათასს დაუფასებელს სარგებლობას აძლევს. ვიდრე ცხენის-რკინის გზა გაკეთდებოდა, მეფაიტონე და მედროშკეები ბევრსა წუწუნებდნენ, მაგრამ ცხენის-რკინის გზა-კი მაინც გაიმართა. დღეს რამდენიც უნდა იწუწუნონ აისორების შთამომავალთა, წყლის გაყვანის საქმეს ტფილისში ვეღარ შეაყენებენ.

სამეურნეო საზოგადოების დარბაზი გვლავ გავსებულიყო ტეხნიკურ საზოგადოების წევრთაგან. გარეშე საზოგადოებაც ბლომად იყო. თითო-ოროლა ქალებიც კი მობძანებულიყვნენ. ჩემის აზრით, წყლის გაყვანის საქმე უფრო ქალებისთვის უნდა იყოს საინტერესო და სანუკარი, როგორც მოჯახსეთათვის, რომელნიც ჩვენ კაცებზე მეტად გრძნობენ წყლის საჭიროებას ოჯახში და ჩვენზე მეტად გამოუცდიათ, რა არის თულუხჩების ქეიფზე ყოფნა წყლის შესახებ.

სჯა დაიწყეს. ბაასობდნენ იმაზე, როგორ უნდა მოიმართოს წყლის შესაკრები აუზები, როგორ დალაგებულ იქმნას წყლის-მომყვანი მილები და სხვა ამ გვარი წმინდა ტეხნიკური საგნები გახდეს სალაპარაკოდ. ბევრი ილაპარაკეს აგრეთვე წყლის დასაწმენდის მაშინების მომართულობაზე. წყლის დასაწმენდის მაშინების ანუ ფილტრების მოწყობა საზოგადოდ ძალიან საძნელო და ხარჯიანი საქმე ყოფილა, სადაც კი წყლის გაყვანა დასჭირებიათ. საქმე ის არის, რომ წყალი უმთავრეს მილებში დენის დროს, ლექსა და მტელეს იშორებს ფილტრებში რომ გადის და ამ მტლეთა და ლექთა ფილტრების თვლებს ამოამსებს ხოლმე, ისე რომ ძალიან ხშირად უნდებათ წმენდა. თუ იმ წესით მოაწყეს ფილტრები ქალაქისთვის, როგორც ოზეროვისა და კონრადის პროექტშია ამ ფილტრებს თითქმის თთვეში ორჯერ მოუნდება წმენდა მტლესა და ლექისაგან, ხოლო თითოეული წმენდა დაჯდება ათას-ხუთასი მანათი. მაშასადამე წმენდა ფილტრებსა წელიწადში დაჯდება სამი-ათასს ექვსასი თუმანი. როგორც ჰხედავთ, ცოტა ფული არ არის.

საზოგადოებამ მეტის განცხოველებით დაიწყო სჯა იმაზე, კმარა თუ არა ქალაქისათვის ის წყაროს წყალი, რომელიც ავჭალაში მოგროვდება ქალაქში წამოსაყვანადაო. წითელ ყვითლად აჭრელებული პლანები ავჭალისა, ავჭალის გარემოსი, თვით წყლის გაყვანის შენობათა ფრიალებდენ ჩვენ თვალ-წინ, წიგნების გორები, რომლებიც სტოლზედ ეწყო მოძრაობაში მოვიდა, დიდი შავი დაფა ისე აჭრელდა სხვა-და-სხვა სახეებით, ხაზებით, ნახატებით, რომ გეგონებოდათ თოვლი მოუყრიათ ზედაო.

როგორ გავიგოთ, რა გვარი წყაროებია ავჭალის წყაროები, სად არის მათი დასაბამი, შეიძლება ამ წყაროებს კიდევ სხვა წყაროები მიემატოს თუ არა. ყველა ამის ახსნა და გამოკვლევა ფრიად საჭირო იყო. ერთიც ვნახოთ, ამოდენა ხარჯი გასწიოს ქალაქმა, ავჭალის წყაროების იმედი ჰქონდეს და ეს ავჭალის წყაროები კი ისე ცოტას წყალს იძლეოდნენ, რომ ნახევრადაც არ ეყოს ქალაქსა. დინგელშტედმა სთქვა, რომ მე შევკრიბე ცნობანი იმაზე, საკმაოთა აქვთ თუ არა წყალი იმ ევროპიელ ქალაქებს, რომელთაც წყალი აქვთ გაყვანილიო და აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველგან საფრანგეთში, ისპანიაში და ამერიკაშიც-კი უჩივიან ამ ნაირი ქალაქები წყლის სიცოტავესაო. ჩვენ წყლის გამყვანთა აზრით წყალი ექმნება ქალაქს 6-დამ 12 ვედრამდეო (სულ 480,000 ვედრა) თითოეულს კაცზე და სრულიად საკმარისიაო, მაგრამ ერთის პროფესორის აზრით $18\frac{1}{2}$ ვედრა არის საჭიროვო ერთის კაცისათვის. წაიკითხეს დეპეშები

მიერ. სად არის, რა გაჭირებისთვისდა შეინახა ამის დამწერმა ქართული მოქმედებითი ბრუნვა, უკეთუ იგი არსებობს. ამავე ადგილას ეს სიტყვები შეიძლება შევცვალოთ ასე: მამით, ჩემისა თანა ანუ ჩემით. ნუ თუ აქ «თ» არ არის შემოკლებული თანდებული «თანა»?

მეხუთე საუკუნიდამ დაწყებული ქართველობა სულ ისე ხმარობდა, როგორც მე ვამტკიცებ. რა წრეს გადასული კადნიერებაა! როდესაც გვინდა გამოვხატოთ, რომ მოქმედება სრულდება საერთოდ, ორთა ან რამდენთამე პირთაგან ერთად, მაშინ გვიხმარია თანდებული «თურთ» თანაბარი რუსულისა **съ**, ანუ შემოკლებით, მარტო «თ». სადაც კიდევ გვდომება გამოგვეხატა იარაღი, საშუალება, რომლითაც საქმე სწარმოობს, მაშინ გვიხმარია თანდებული «თანა», თანაბარი რუსულის მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოვებისა ანუ ისევ შემოკლებით «თ». აქაც სთქვით, რუსულის ალაბით სხომავო. რუსული ალაბი-კი არა, ეს ერთად ერთი გზაა ჭეშმარიტების გამოსარკვევად. სამწუხაროდ ჩვენდა სხვა უცხო ენები არ ვიცით, თორემ უფრო აშკარად გამოვარკვევდით საგანს.

ნათქვამიდამ სჩანს, რომ ფრაზა: «მოვედი რკინის გზით დედითურთ» შეიძლება ითქვას ასე: მოვედი რკინის გზისა თანა დედითურთ.

შეიძლება ეს ცოტა ეხამუხოს ეხლანდელის ქართველის ყურს, მაგრამ ეს მაინც არაფერს არ დაამტკიცებს. რომელი აწინდელი რუსი დაიჯერებს, რომ **кромѣ** არის მიცემითი ბრუნვა სახელისა **крома**, თუმცა მამა ნესტორი თავისუფლად ამბობდა: **и рече святославъ, кромѣ зря,** ვითომ **смотря въ сторону.**

დავრწმუნდებით და დავემყარდებით რა ყოველსავე აქ ნათქვამზე, შევუდგეთ ახლა გაუქმებას იმ საბუთებისას, რომლებიც ბ-ს გოგებაშვილს მოჰყავს მოქმედებითის ბრუნვის დასაცველად.

«მოქმედებითი ბრუნვის უკანასკნელი ასო (თ) რომ შემოკლებული თანდებული იყოს, ამბობს ბ-ნი გრამატიკოსი, იმ ასოს ბოლოზედ სხვა თანდებულ ველარ მოებმოდაო. გარნა ამ ბრუნვას სხვა თანდებული ძალიან შნოიანად ებმიან, მაგალითად თანდებული «გან». «პირველითგან» იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა... ამას უმატებს, რომ მართალიაო ჩვენ ეხლა ვწერთ პირველი-დგან, მაგრამ ეს დიდი შეცდომააო. ცოტა ქვევით-კი, მეორე სვეტზედ თვითონვე ჰხმარობს: გაიხსენეთ მოქმედებითის ბრუნვის მქონე ადგილები «სახარებიდგან» (!) «ვეფხვის-ტყაოსნიდგან» (!) «გურამიანიდგან» (!) აჰათ, კანონიც ესეთი უნდა. თითონ დაადგინა და თითონვე გაამტყუვნა!..

უპირველესად ამაზედ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი გოგებაშვილი დიდი ოსტატია ტყუილის კანონების გამოგონებაში. თანდებულს თანდებული აღარ მოჰყვებაო. ვინ მოგახსენათ? მაშ რა არის, მაგალითებრ, ამ ფრაზაში: «თქვენისთანაზეა» ნათქვამი: «თავის ქება კიტრადა ღირსო». ამოვიღოთ ამ წინადადებიდამ სიტყვა თქვენისთანაზედ და გავარჩიოთ. იგი არის შემდგარი ასე: თქვენის + თანდებული «თანა» + თანდებული «ზე». ესეც ორი თანდებული ზედი-ზედ. აი კიდევ: «მე თქვენზე წინ მქონდა ყოველივე მოსაზრებული». ამ წინადადებაში თანდებულს «ზე» მოსდევს თანდებული «წინ». იმერლები ამბობენ: სახლშიდ, ბაღშიდ, ზღვაშიდ. აქ თანდებულს «ში» მოსდევს თანდებული «დ» და სხვა-და-სხვა ათას შემთხვევაში და მაგალითში შეჰხვდებით ამ წესს. აქ მის მეტი არა არისრა საკვირველი, თუ საიდამ შეთხუზა ბ-მა გოგებაშვილმა ეს უცნაური უკანონო კანონი.

შემდეგ, საინტერესოა ერთობ ვიცოდეთ, რომელი ფორმა უფრო კანონიერია: პირველითგან თუ პირველიდგან. ბ-ს გოგებაშვილის აზრით, პირველია კანონიერი და ჩვენ კი გვგონია, რომ მეორე. მართალია, რომ სახარებაში პირველი ფორმაა ხმარებული, მაგრამ ჩვენ სამი მოსაზრება გვაქვს მის წინააღმდეგად სათქმელი, პირველი, რომ ჩვენ ეხლა ვამბობთ და გვეხერხება კიდეც ვსთქვათ: პირველიდგან, სახლიდგან, «გურამიანიდგან», «ვისრამიანიდგან» და არა სახლითგან და სხვა. მეორე, რომ უწინაც უხმარიათ ასე. მესამე, რომ თანდებული «გან» ითხოვს მხოლოდ ნათესაობითს ბრუნვას და არა სხვა რომელსამეს. გან ვისა?—გან კაცისა ანუ კაცისაგან. გან რისა?—გან ხისა ანუ ხისაგან. აქედამ სჩანს, რომ არ უნდა იყოს პირველითგან, არამედ პირველიდგან. ხოლო ეს უკანასკნელი ფორმა უსათუოდ სწარმოობს ასე: პირველად, პირველადგან და ბოლოს პირველიდგან, სადაც კეთილ-ხმოვანებისთვის «ა» შეიცვლება «ი»-ზედ.

ასეც რომ არ იყოს, როგორც ზევითაც დავინახეთ, ეს საბუთი ერთობ ულონოა დაამტკიცოს მოქმედებითის ბრუნვის არსებობა.

მიხეილ ნასიძე.

(შემდეგი იქნება)

იმის შესახებ, თუ რამდენი უნდება რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქს წყალი. აღმოჩნდა, რომ სარატოვში 120,000 მცხოვრებელია და ჰხარჯავს 110,000 ვედრასაო, ყაზანში 100,000 მცხოვრებელია და 1882 წ. უნდებოდა 137,640 ვედრაო. ოდესაში თვითოეულზე მიდის 2,4 ვედრა, კურსკში 1,2 ვედრა. ოზეროვმა სთქვა, რომ ნუ დავივიწყებთ, რა მცირეა ჩვენს ქალაქში მრეწველობა და რა ცოტა ქარხნები და ფაბრიკები გვაქვსო და თუნდაც ბევრი გვქონდეს, ისინი წყლის პირას გაკეთდებიან ხოლმე და მაშასადამე მტკვრის წყალს იხმარებენო. ამას გარდა ქალაქში მადნის ცხელი წყლებიაო, აბანოებიო და ხალხი ისეა მიჩვეული ამ აბანოებს, რომ საბანოდ გამოყვანილს წყალს არ დაუწყებს ხარჯვასაო. შემდეგ ლაპარაკი ისევ ავჭალის წყაროების რაოდენობას დაუტრიალდა. ინჟინერმა სოროკინმა გეოლოგიურ მოსაზრებათა ძალით დაამტკიცა, რომ ავჭალის წყაროები გამომდინარებენ ისეთ კლდიდამ და ეს კლდე ისეა დაწყობილი ავჭალას გარემოს, რომ ამ წყაროებს გარდა, კიდევ ბევრი სხვა წყაროები აღმოჩნდებიანო. ქვედა კლდიდამ რომ გამომდინარებდენ ეგ წყაროები სასმელად არ ვარგებოდნენო, რადგან მრავლად იქნებოდა შიგ მინერალებური შერეულობანიო. ეს ქვედა კლდე მალიან დიდის ხნის შედგენილობისააო (третичныя образованія). წყაროები გამომდინარებენ ზედა-კლდიდამ (კონგლომერატი). ხოლო ეს ზედა-კლდე გლდანის წყლის მარჯვენა ნაპირისკენ არიან მიმართულნი აღმაცერად და ამიტომ წყაროებიც გამომდინარებენ ამ წყლის მარჯვენა ნაპირიდამ კი არა მარცხენიდამაო. წყაროებს არც გლდანის წყალი ასაზრდოებს, არც მტკვრისაო, იმიტომ, რომ ერთისაც და მეორის მირიც ქვედა კლდეში მომდინარეობსო ავჭალასთან. ხოლო ავჭალის ქვემოდ მტკვარი ზედა კლდეში მომდინარეობს და წყაროები ავჭალის ქვემოთაც მტკვარს ასაზრდოებენო. მაშასადამე ავჭალის ქვეით გლდანის წყლის მარცხენა ნაპირიდამ რომ წამოვყვეთ, ყველგან ვიპოვით წყაროებს, რომელთაც სათავე მალე აღმოუჩნდება, ერთად შეიკრიბება და იმის მაგიერად რომ მტკვარს ურთდებოდეს შეუნიშნავად, ჩვენ შეიძლება გამოვაჩინოთ ზემოდ და მივუმატოთ ავჭალის წყაროების შესაკრებს აუზსა და გალერეიასაო.

ამ სახით სოროკინმა, რომელსაც შეუსწავლია მტკვრის დინის გეოლოგიური ვითარება სურამის უღელტეხილიდამ აღაზნამდე, თავის ლაპარაკით დაარწმუნა კრება, რომ წყაროს წყლის სიმცირის შიში სრულიად უსაფუძვლოა. ესევე აზრი გამოუთქვამს საფრანგეთის ინჟინერს ძასკელეს. კრება დაიშალა ღამის მეთორმეტე საათზედ.

დეპეშა

18 ფებერვალი

ტაშკენტი. კულჯიდამ ხმა ისმის, რომ ჩინეთში დუნგანებს დიდი არეულობა მოუხდენიათო.

ბუქარესტი. მაკტოვიჩმა დეპეშით აუწყა გარაშანინს, რომ სერბია დათანხმდა პორტასთან წარმოდგენილს ხელთ-შეკრულობის პროექტს მშვიდობიანობის შესახებო. ამ ხელთ-შეკრულობას ხვალ მოაწერენ ხელს.

ათინა. დელიანისის სამინისტრო თავის თანამდებობას თავს ანებებს, მაგრამ კოროლი ამაზე ჯერ არ დათანხმებულა. რევოლიუციონერი კომიტეტები უსაყვედურებენ მთავრობას მხნედ ვერ იქცევაო, და უთუოდ ომსა თხოულობენ.

19 ფებერვალს

პარიჟი. ფრეისინემ გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში, საფრანგეთმა წინააღმდეგობა შეუთვალაო საბაჟო მიჯნის დადებისათვის რუმელიისა და ოსმალოს სამზღვრებზეო. ამასთანა განკარგულება ფილიპოპოლის მთავრობისა ეწინააღმდეგება ბერლინის ხელ-შეკრულობასა და ხელს უცრის ვაჭრობის საქმესა საფრანგეთისას და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებისასაცო. პალატამ დაადგინა, იმედი გვაქვსო ჩვენის მთავრობის გულ-მოდგინეობისა და მხნეობისაო და დარწმუნებულნი ვართო, რომ ჩვენი მთავრობა იმულებულ ჰყოფს პატივი ჰსცენ ბერლინის ხელ-შეკრულობას და საფრანგეთის ინტერესებისათვისაც არავის არა ავნებინოს რაო.

* * *

ფოსტა მკითხველთა მიმართ:

ამას წინად ,,ივერიის'' რედაქციას ქუთაისის გუბერნიიდამ წერილი მოუვიდა. კორრესპონდენტი იწერებოდა ერთს ჩვენს ლიტერატურაში შემჩნეულს კაცზედ, რომ გუშინ დილას გულის-ფრიალმა თან გადაიტანაო და ერთს გლოვასა და მწუხარებას ჰღაღადებდა. თუმცა აქ დაუჯერებელი არა იყო-რა, მაგრამ რადგანაც რედაქციას წესად მიღებული აქვს, რომ თუ არ ნაცნობს და სანდოდ ცნობილს, სხვას არა დაუჯეროს-რა და ეს კორრესპონდენტი ნაცნობი არ იყო, არ დაიჯერა მოწერილი ამბავი, აილო კორრესპონდენცია, შეინახა და სთქვა: თუ მართალია, სხვანიც, უფრო სანდონი მოგვწერენო. ჩვენდა სასიხარულოდ, ყოველივე ეს ტყუილი გამოდგა. ახლა გკითხავთ: რა სახელი დავარქვათ ამისთანა საქციელს? о времена! о нравы!...

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ = 478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ = 42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,
ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 4 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

19 დღე ოთხშაბათი. წმ. მოც. არხიპ, ფილიმონ. სომეხ. მარხვაა. კათ. კონრადისა.

დაწესდა რჩევა ამიერ კავკასიის მთავარ-სამმართველოსი 1838 წ. შემოიღეს: ახალი წესები სასამართლოსი და ახალი ადმინისტრატიური განაწილება. დაწესდა განჯის გუბერნია 1872 წ. ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლეს აფხაზეთის გლეხობა 1871 წ.

ჭეშმარიტი შუადღე 12—12—5. ტფილისში მზე ამოდის 6—32; ჩადის 5—53. მთვარე ამოდის 5—15 ნღ., ჩადის 3—28.

20 დღე ხუთშაბათი. ლეონ ეპისკ. კატანელისა, აღათონ პაპისა. სომ. ვარდნიან მხედართ-მთავართა. 1036 მოწამეთა. კათ. სილვანისა.

ქუთაისის მკვიდრთა ფიცი დასდეს რუსეთის ქვეშევრდომობაზედ 1810 წ.

ჭეშმარიტი შუადღე 12—11—52. ტფილისში მზე ამოდის 6—30; ჩადის 5—54. მთვარე ამოდის 5—49 ნღ. ჩადის 4—24.

21 დღე პარასკევი. ღირ. ტიმოთესი, ევსტატე არხიეპ. კათ. ელეონორასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—11—39. ტფილისში მზე ამოდის 6—28; ჩადის 5—55. მთვარე ამოდის 6—20; ჩადის 5—21.

22 დღე შაბათი. პოვნა ნაწილთა წმ. მოწ. ევგენისა შინა წამებულთა. სომ. კონსტანტინეპოლის წმ. კრებისა 150 მამა-მთავართა. კათ. წმ. პეტრეს კათედრასი ანტიოქიაში. მუსულმ. 1 დღე თთვისა ჯემად-ულ-ასირ 1303 ჰიჯრისა. შობა მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—11—25. ტფილისში მზე ამოდის 6—26; ჩადის 5—57. მთვარე ამოდის 6—48. ჩადის 6—18 ღ.

23 დღე კვირა. დიდი აღების-ღამე. წმ. პოლიკარპ. ეპისკ. სმირნისა. სომ. დიდი აღების-ღამე. კათ. რომანოზისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—11—20. ტფილისში მზე ამოდის 6—25; ჩადის 5—59. მთვარე ამოდის 7—15; ჩადის 7—20 ნღ.

24 დღე ორშაბათი. პირველი დღე დიდ-მარხვისა. პოვნა თავისა წმ. იოანე წინა-მორბედისა. კათ. მათიასი და ვიტალდისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—10—55. ტფილისში მზე ამოდის 6—23; ჩადის 6—0. მთვარე ამოდის 7—47; ჩადის 8—15 ღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 თებერვლიდამ 16-ლ მარტამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2¼ ,
, , 2 ,	2 ,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ,
მე-2 ხარისხისა	3 ,
მე-3 —	2½ ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,
2 —	7 ,
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 ,
ცხვრის ხორცი	9 ,
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 ,
2-ის ხარისხ.	5 ,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კაკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კაკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კაკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კაკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კაკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი

ახლად გახსნილს წერეთლის წიგნის მაღაზიაში ხონში, ფოჩტის პირდაპირ ისყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნები, ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და კანცელარიის ყველა საჭიროებანი. ადრესი: ხონი. წიგნის მაღაზია წერეთლისა.
(3—1)

გრ. ჩარკვიანის
ქართულის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ქილილა და დამანა
თარგმანი მეფე ვახტანგისაგან
ფასი სამი მანათი.
3—2

ПОДПИСКА
НА 1886 ГОДЪ
НА БОЛЬШУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ, ОБЩЕСТВЕННУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
„РУССКІЙ КУРЬЕРЪ."
ГОДЪ СЕДЬМОЙ.

Русскій Курьеръ выходитъ ежедневно въ форматѣ большихъ газетъ по слѣдующей программѣ:

I. Постановленія и распоряженія правительства.
II. Обзоръ политическихъ событій и общественной жизни; обсужденіе «вопросовъ дня.»
III. Хроника: извѣстія—придворныя, военныя, научыя, литературныя, художественныя, театральныя, музыкальныя, торговыя и др. Біографія и некрологи.
IV. Телеграммы.
V. Московскій дневникъ.
VI. Мнѣнія русской а иностранной печати по текущимъ вопросамъ.
VII. Жизнь Россіи: народное образованіе, земство, городское и крестьянское самоуправленіе, промышленность и торговля, дѣла духовенства и явленія въ области раскола; корреспонденціи изъ Россіи; извлеченія изъ журналовъ и газетъ.
VIII. Иностранныя извѣстія; корреспонденціи изъ-за границы; извлеченія изъ иностранныхъ газетъ.
IX. Литературный отдѣлъ: романы, повѣсти, очерки, разсказы, сцены, стихотворенія.
X. Фельетонъ: обзоръ явленіи внутренней жизни: литературная лѣтопись; обзоръ журналовъ; историческій листокъ; научная хроника; хроника заграничной жизни; театръ и музыка; желѣзнодорожная лѣтопись.
XI. Критико-библіографическій отдѣлъ: статьи по разнымъ отраслямъ наукъ, искусствъ и промышленности.
XII. Судебная хроника: судебные процесы.
XIII. Разныя извѣстія: случаи, анекдоты и проч.
XIV. Справочный листокъ: свѣдѣнія—биржевыя, желѣзнодорожныя, театральныя и отвѣты редакціи.
XV. объявленія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою въ Москвѣ:	Съ пересылкою во всѣ города:	Заграницу:
На годъ. . 8 р. 50 к.	На годъ. . 9 р. — „	На годъ. 18 р. — к.
6 мѣс. . 4 „ 50 „	„ 6 мѣс. . 5 „ — „	6 мѣс. 10 „ — „
3 „ . . 2 „ 50 „	„ 3 „ . 2 „ 75 „	3 „ 5 „ 50 „
1 „ . . 1 „ — „	„ 1 „ . 1 „ 10 „	1 „ 2 „ 20 „

1. Отдѣльные №№ изъ конторы изданія и у разносчиковъ—по 5 коп.
2. Подписка принимается съ 1-го по 1-е каждаго мѣсяца и не далѣе конца года.
3. Гг. иногородніе, при возобновленія подписки, благоволятъ прилагать свой печатный адресъ.
4. За перемѣну адреса городскаго и иногородняго—30 коп. При перемѣнѣ городскаго на иногородній доплачивается разница въ цѣнѣ подписка.

ТАРИФЪ НА ОБЪЯВЛЕНІЯ:
за строку петита или за мѣсто, занимаемое ею:
НА ПЕРВОЙ страницѣ 20 коп. за стр.} На ЧЕТВЕРТОЙ стран. 10 к. за стр.

1. За украшенія объявленій взимается прибавка 10% съ суммы стоимости объявленій
2. Доставляющимъ значительное количество объявленій дѣлается уступка.
3. За приложеніе объявленій въ форматѣ ⅛ газетнаго листа взимается по 5 рублей за 1,000 экземпляровъ; за объявленія-же большаго размѣра по 6 рублей за 1,000 экземпляровъ.
4. Объявленія библіографическія, рекламы, объ уничтоженіи довѣренностей, о потеряхъ, объ умершихъ, о желаніи давать уроки, о медицинскихъ средствахъ и т. п., принимаются не иначе какъ съ засвидѣтельствованіемъ подлежащаго начальства.

Подписка и объявленія принимаются въ Москвѣ въ конторѣ изданія, Москворѣцкіи мостъ, домъ Н. П. Ланина.

Контора изданія открыта по буднямъ отъ 9 до 5 ч., а по праздникамъ отъ 10 до 2 ч., редакція же—отъ 1 до 3 ч.

Редакторъ-Издатель Н. П. ЛАНИНЪ.
(5—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 19 февраля. 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.